განკარგულება:**g-31. 31231783**
თარიღი:**27/06/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №39

2023 წლის 27 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს“ (ს/კ 433649322) მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N76-ში მდებარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.52.002) პირველ სართულზე განთავსებული შემდეგი ფართი, კერძოდ: ოთახი N14 – 18,38 კვ.მ. ოთახი N15 – 10,51 კვ.მ. ოთახი N16 – 35,20 კვ.მ. ოთახი N17 – 21,95 კვ.მ. ოთახი N18 – 22,54 კვ.მ. ოთახი N19 – 19,67 კვ.მ. ოთახი N20 – 170,18 კვ.მ. და მესამე სართულზე განთავსებული შემდეგი ფართი კერძოდ: ოთახი N10 – 12,97 კვ.მ. ოთახი N12 – 17,66 კვ.მ ოთახი N13 – 10,05 კვ.მ. ოთახი N17 – 25,60 კვ.მ. ოთახი N18 – 16,37 კვ.მ. ოთახი N19 – 31,81 კვ.მ. ოთახი N20 – 29,52 კვ.მ. ოთახი N21 – 22,91 კვ.მ. ოთახი N22 – 23,59 კვ.მ. ოთახი N23 – 34,72 კვ.მ. (საერთო ფართი - 523,63 კვ.მ.)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი